ემოციის გამომხატველი სიტყვების გამოყენება 4-5 წლამდე ასაკში (input-output შერჩევითი შუალედით)

მანანა ქერაშვილი

კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი:

ნინო ცინცაძე

თინათინ ჭინჭარაული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია ემოციის გამომხატველ სიტყვებზე დაკვირვების შედეგების ანალიზი 4-5 წლის ასაკის ბავშვის ლექსიკურ მარაგში. კვლევის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს ქართულენოვანი ბავშვების შემთხვევაში როგორ ხდება ემოციის გამომხატველი სიტყვების გამოყენება მშობელი-ბავშვის კომუნიკაციის გათვალისწინებით. არსებული კვლევა თვისობრივი ხასიათისაა და, ამასთანავე, გვაძლევს სიხშირული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას. კვლევა ფოკუსირდება არამხოლოდ ბავშის,არამედ მშობლის მიერ გამოყენებული ემოციების გამომხატველი სიტყვების სიხშირეზე და მიზნად ისახავს მშობელ-შვილს შორის და ოჯახის წევრებს შორის input-output ით გამოწვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაკვირვებას, ხაზს უსვამს იმ გარემოებებს, რომ განიხილებოდეს არამხოლოდ ბავშვის ლექსიკაში შემავალი ემოციის სიტყვის კატეგორიები, არამედ იმის გამოკვლევა, რამდენად მსგავსია ამ სიტყვების გამოყენება კომუნიკატორის (მშობლების, დედმამიშვილების) მიერ. კვლევა დაფუძნებულია 4-5 წლამდე ასაკის 2 ქართველი ბავშვის სამეტყველო ენის გამოყენების ანალიზზე, რომლებიც მისდევენ ქრონოლოგიური ასაკის შესაბამის განვითარების მოდელს. წინამდებარე კვლევა აღწერით ხასიათს ატარებს. ჩანაწერების ტრანსკრიფციის, კოდირებისა და ანალიზისთვის აუდიო/ვიდეო ფაილები დამუშავდა პროგრამა CLAN-ში; საკვლევ მასალაში ცდის პირები იმყოფებოდნენ ბუნებრივ გარემოში. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა 4-5 წლამდე ასაკის ქართველი ბავშვის და მისი მშობლის სამეტყველო ენაში ემოციის გამომხატველი სიტყვების გამოყენების სიხშირე და პროცენტული მაჩვენებელი. ამ გზით მიღებული მონაცემთა ანალიზი დაადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ კომუნიკატორის(output) მიერ ემოციების გამომხატველი სიტყვების ხშირი, თანმიმდევრული გამოყენება ხელს შეუწყობს და განაპირობებს ამ სიტყვების ადრეულ დამკვიდრებას ბავშვის რეცეპტულ და ექსპრესიულ ენაში.

საკვანძო სიტყვები: ენა, მეტყველება, კომუნიკაცია, ბავშვის განვითარება, მშობელი-შვილის კომუნიკაცია.

Abstrac

The study presents the analysis of the results of observation of words expressing emotion in the vocabulary of a 4-5 year old child. The aim of the study is to observe how the words expressing emotion are used in the case of Georgian-speaking children, taking into account parent-child communication.The existing research is qualitative, although it gives possiblity to collect frequency data. The research is interested not only in the frequency of the words expressing emotions used by the child, but also by the parent. It aims to observe the cause-and-effect relationships between parent and child caused by input- output; It emphasizes the circumstances to consider not only the categories of emotion words included in the child's vocabulary, but to examine how similarly the parent uses these words. The research is based on the analysis of the use of spoken language by 2 Georgian children aged 4-5 years, who follow the chronological age-appropriate development model. The present study is descriptive; Audio/video files were processed in CLAN software for transcription, coding and analysis of recordings; Within the framework of the research, the frequency, percentage and mode of using words expressing emotion in the spoken language of a Georgian child aged 4-5 years and his parents spoken language, which supports our hypothesis that the frequent, consistent use of emotion words by parents promotes and conditions the early establishment of these words in the child's receptive and expressive language.

Key words: language, speech, communication, child development, parent-child communication.

სარჩევი

აბსტრაქტი 2

Abstrac 3

მადლობა 5

შესავალი 5

1. კვლევის სიახლე და აქტუალურობა 5
2. ლიტერატურის მიმოხილვა 6
3. კვლევების მიმოხილვა 9

კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 15

1. კვლევის დიაზაინი 15
2. მონაცემთა ანალიზი 19
   1. Input-output მონაცემები ანას მეტყველების ტრანსკრიპტების მიხედვით ემოციების გამომხატველი სიტყვების გამოვლენასთან მიმართებაში: 19
   2. Input-output მონაცემები მეთეს მეტყველების ტრანსკრიპტების მიხედვით ემოციების გამომხატველი სიტყვების გამოვლენასთან მიმართებაში: 22
   3. გენდერული განსხვავება ემოციის გამომხატველი სიტყვების გამოყენებაში: 24
   4. Input-Output კორელაცია ემოციის გამომხატველი სიტყვების გამოყენებაში: 25

კვლევის შედეგები 29

დასკვნა 30

გამოყენებული ლიტერატურა 31

დანართები 33

მადლობა

მკვლევარი მადლობას უხდის საკითხით დაინტერესებულ მეგობრებს და კოლეგებს, რომელთაც წაიკითხეს ამ ნაშრომის ხელნაწერი და გაუზიარეს თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები.
განსაკუთრებით სურს გამოხატოს პატივისცემა და მადლიერება კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელების, ქალბატონ ნინო ცინცაძის და ქალბატონ თინათინ ჭინჭარაულისადმი კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

შესავალი

1. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

დროთა განმავლობაში მკვლევართა მრავალი შეხედულება ჩამოყალიბდა იმის შესახებ, თუ რა არის ემოციები, როგორ ხდება ემოციების სხვადასხვა ტიპების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია. ჰოკენბერი ვარაუდობს, რომ ემოცია არის რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც მოიცავს სამ განსხვავებულ კომპონენტს: სუბიექტურ გამოცდილებას, ფიზიოლოგიურ რეაქციას და ქცევით ან ექსპრესიულ პასუხს (Hockenbury, 2007).
დ. უზნაძის მიხედვით: „ემოცია სუბიექტური მდგომარეობის განცდაა, რომელიც ამავე დროს ობიექტური ვითარების, როგორც თავისი მიზეზის ან საგნის, განცდასაც გულისხმობს”.